ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3273269

ნომერი: AR1503530

თარიღი : 14.05.2017

გაცემის თარიღი : 22.05.2017

გაცნობის თარიღი : 22.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ. დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

14 მაისის №AR1503530 განცხადებით მომართა მოქ. ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, დიდი დიღომი, შპს "სანთომი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.72.14.040.657 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკური-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად მითითებულია 256.59 კვ.მ ნაცვლად 261.42 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 4247.51 კვ.მ ნაცვლად 4252,34 კვ.მ-სა, განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებასთან თანდართული საპროექტო გეგმების 2017 წლის 14 მაისის №AR1503530 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.

სამსახურმა 2017 წლის 14 მაისის №AR1503530 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად მიეთითოს 261.42 კვ.მ, საერთო ფართობად მიეთითოს 4252,34 კვ.მ, ჩანაცვლდეს 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებასთან თანდართული საპროექტო გეგმები, 2017 წლის 14 მაისის №AR1503530 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 01 მაისის №3236251 ბრძანებასთან ერთად ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.